ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 212

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი №2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.04.018.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბისთვის" (ს/ნ: 204446313) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი №2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.04.018.030) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბისთვის" (ს/ნ: 204446313) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის №19.660.851 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი №2-ის მიმდებარედ 168 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.04.018.030), პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამეცნიერო-საწარმოო კომპანია სოვბისთვის" (ს/ნ: 204446313), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე